

171  
1944

F

საქართველოს სსრ განათლების  
სახალხო კომისარიატის ბრძა-  
ნებითა და განაკრგულებათა

# კრებულში

წელიწადი მეშვიდე

№ 10-11	Сборник приказов и распоряжений НКПроса Грузинской ССР	1944 წ.
---------	---	---------

1. ბრძანება — დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მე-4, მე-7, მე-10 კლასების საგამოცდო ბილეთების შესახებ.
2. საგამოცდო ბილეთები — საშუალო სკოლების მე-10 კლასებისათვის.
3. საგამოცდო ბილეთები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.
4. საგამოცდო ბილეთები რუსულ ენასა და ლიტერატურაში.
5. საგამოცდო ბილეთები მათემატიკაში (არიტმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია).
6. საგამოცდო ბილეთები ისტორიაში.
7. საგამოცდო ბილეთები საქართველოს ისტორიაში.
8. საგამოცდო ბილეთები ფიზიკაში.
9. საგამოცდო ბილეთები ქიმიაში.

**ბრძანება № 187.**

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი.**

**1945 წელი 28 იანვარი.**

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთები მე-4, მე-7 და მე-10 კლასებისათვის ქართულ ენაში, ქართულ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და რუსულ ლიტერატურაში, სსრ კავშირის, შუა საუკუნოებისა და საქართველოს ისტორიებში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მათემატიკურ დისციპლინებში — არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში, დამტკიცდეს.

2. სიმწიფის ატესტატზე ჩასაბრებელი გამოცდები უცხო ენებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მე-10 კლასებში მიმდინარე 1944-45 სასწავლო წელში ჩატარდეს ბილეთების გარეშე, სკოლაში ფაქტიურად გავლილი კურსის ზეპირად გამოკითხვის საფუძველზე.

3. დაევალოს რაიონისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს ა/წ. 20 თებერვლამდე:

ა) გააცნონ ბილეთები დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს, გამგეებს და სასწავლო ნაწილი გამგეებს;

ბ) ამავე ვადებში უზრუნველყონ ბილეთების განხილვა ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მეთოდურ თათბირებზე.


4. დაევალოს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს):

ა) ა/წ. თებერვლის ბოლომდე პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე განიხილონ საკითხი გამოცდებისათვის მზადების შესახებ და დასახონ ღონისძიებანი, რათა სასწავლო მასალის გამეორების საქმე მთლიანად იქნეს შეფარდებული დამტკიცებულ საგამოცდო ბილეთებთან;

ბ) ამავე ვადებში უზრუნველყონ საგამოცდო ბილეთების ზუსტად გაცნობა მოსწავლეთათვის.

5. საგამოცდო ბილეთებში რაიმე ცვლილებების შეტანა აკრძალულ იქნეს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი **მ. კუპრაძე.**



# საგამოცდო ბილეთები საშუალო სკოლების მათე კლასებისათვის

## საგამოცდო ბილეთები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ბანმარტება

1. ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე პასუხის გაცემისას მოწადეს მოეთხოვება სათანადო მაგალითების დასახელება და გარჩევა-განმარტება.
2. ლექსებისა და პოემების განხილვისას მოწადეს მოეთხოვება ტექსტიდან სათანადო ადგილების ზეპირად ცოდნა.
3. პოეტიკის საკითხების განმარტებისას მოწადეს შეუძლია დაასახლოს სათანადო მაგალითები არამარტო საგამოცდო ბილეთებში მითითებულ ნაწარმოებთაგან, არამედ სხვა მხატვრული ნაწარმოებებიდანც.

### ბილეთი № 1.

1. გ. ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“—განხილვა.
2. ილ. ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?!“—...—განხილვა.
3. ქალთა ტიპები შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.
4. არსებითი სახელი, მათი ჯგუფები შინაარსის მიხედვით. ტროპები, ეპითეტი, შედარება.

### ბილეთი № 2.

1. აზნაურთა ტიპები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში.
2. ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“—განხილვა.
3. ნ. ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას“—ზეპირად.
4. ზედსართავი სახელები. რთულ დამოკიდებულ წინადადებათა სახეები.  
სიმბოლო, ალეგორია.

### ბილეთი № 3.

1. სიმონას დახასიათება ე. ნინოშვილის მოთხრობა „სიმონას“ მიხედვით.
2. პატრიოტიზმი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში.
3. აკ. წერეთლის „პოეტი“—ზეპირად.
4. რიცხვითი სახელი.  
ლექსის თავისებურებანი. არქაიზმი, ნეოლოგიზმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი.

#### ბილეთი № 4.

1. ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“—განხილვა.
  2. ნ. ბარათაშვილის შემოქმედება.
  3. მეგობრობა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.
  4. ნაცვალსახელი. ზმნის 1-ლი უღლება.
- ძირითადი ლიტერატურული გვარები: ლირიკა, ეპოსი, დრამა.

#### ბილეთი № 5.

1. უარყოფითი პერსონაჟები ა. ყაზბეგის შემოქმედებაში.
2. აკ. წერეთლის „განთიადი“—ზეპირად.
3. სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ — განხილვა.
4. უცვლელი სიტყვები და ნაწილაკები.  
ლირიკის სახეები: ელეგია, ოდა.

#### ბილეთი № 6.

1. გ. ტაბიძის „მე და ღამე“—ზეპირად.
2. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“—განხილვა.
3. დ. გურამიშვილის შემოქმედება.
4. ზმნის პირიანობა. არსებითი სახელის III ბრუნება.  
ეპოსის სახეები: ზღაპარი, პოემა, რომანი.

#### ბილეთი № 7.

1. ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“—განხილვა.
2. ილ. ჭავჭავაძის „პოეტი“—ზეპირად.
3. გმირობა და რაინდობა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.
4. ზმნის II უღლება.  
ლექსთწყობა, ქართული ლექსის ზომები.

#### ბილეთი № 8.

1. ნ. ლომოურის „ბედი უბედურთა“—განხილვა.
2. თაობათა ბრძოლა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.
3. ხალხური ლექსი—„მზეო, ნუ სტირი“—ზეპირად.
4. ზმნისწინი, ზმნის III უღლება.  
რიტმი და რითმა.

#### ბილეთი № 9.

1. ა. ჩხვოვის „კაცი ფუტლიარში“—განხილვა.
2. ალ. მაშაშვილის „დგას ორი ქალაქი, ორი ძმად ნათიცი“—ზეპირად.



3. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“—განხილვა.
4. ზმნის ფორმათა წარმოება.  
კომპოზიცია: ფაბულა, სუჟეტი.

**ბილეთი № 10.**

1. ბუნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.
2. გ. ორბელიანის „სადღეგრძელო“—განხილვა.
3. ხალხური „ამირანი“—განხილვა.
4. ზმნის ფუძე, გვარი, გარდამავლობა, ქცევა.  
ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ფინალი.

**ბილეთი № 11.**

1. ე. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“—განხილვა.
2. ი. ლერმონტოვის „პოეტის სიკვდილი“—განხილვა.
3. მიჯნურობა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.
4. მარტივი წინადადება. შემასმენელი, ქვემდებარე, დამატებაში,  
ზმნის მე-4 უღლება.  
მაღალი და დაბალი შაირი.

**ბილეთი № 12.**

1. ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელი“—განხილვა.
2. აკაკის პატრიოტული ლირიკა.
3. ხალხური „ეთერი“—განხილვა.
4. განსაზღვრება, გარემოება.  
ენა სალიტერატურო და კუთხური.

**ბილეთი № 13.**

1. შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“—განხილვა.
2. აკ. წერეთლის „ჭალარა“—ზეპირად.
3. ი. ცურტაველის „წამება წმიდისა შუშანიკისა“—განხილვა.
4. წინადადების წევრთა ურთიერთობა რიცხვის მიხედვით. სიტყვების რიგი წინადადებაში.  
მხატვრული ნაწარმოების თემა, იდეა.

**ბილეთი № 14.**

1. ვაჟა-ფშაველას „ღამე მთაში“—ზეპირად.
2. ლ. არღაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“—განხილვა.
3. თეიმურაზ I შემოქმედება.
4. წინადადებათა სახეები, შერწყმული წინადადება.  
მაჯამა.

**ბილეთი № 15.**

1. ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ — განხილვა.
2. გრ. ორბელიანის შემოქმედება.
3. ილ. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“ — ზეპირად.
4. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. ზმნის II უღლება. რეალიზმი.

**ბილეთი № 16.**

1. პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.
2. შექსპირის „ჰამლეტი“ — განხილვა.
3. ხალხური ლექსი „ბელადო დედის გაზრდილო“ — ზეპირად.
4. რთული წინადადება. რომანტიზმი.

**ბილეთი № 17.**

1. თემი და პიროვნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.
2. დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“ — განხილვა.
3. ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ — ზეპირად.
4. რთული თანწყობილი წინადადება. მხატვრული ნაწარმოების სტილი, სტილის ნიშნები.

**ბილეთი № 18.**

1. ჭ. ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე“ — განხილვა.
2. ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ — განხილვა.
3. ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ — ზეპირად.
4. რთული ქვეწყობილი წინადადება. დრამა, დრამის სახეები.

**ბილეთი № 19.**

1. გ. ტაბიძის შემოქმედება.
2. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ — განხილვა.
3. ბესიკის „ტანო-ტატანო“ — განხილვა.
4. სახელთა წარმოება. რომანტიზმი. ფიგურები: მიმართვა, პარალელიზმი, კონტრასტი.

**ბილეთი № 20.**

1. ი. ევდოშვილის „მუზა და მუშა“ — განხილვა.
2. ნ. ჩხიკვაძე „მ-ს“ — ზეპირად.
3. გ. ერისთავის შემოქმედება.

4. ბრუნვები. არსებითი სახელის 1-ლი ბრუნება.  
ლიტერატურის კლასობრივი ხასიათი.

**ბილეთი № 21.**

1. ხალხოსნური მიმდინარეობა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურაში.
2. გ. ლეონიძის ლექსი „სტალინს“ — ზეპირად.
3. ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ — განხილვა.
4. წინადადება შინაარსის მიხედვით. არსებითი სახელის II ბრუნება. ჰუმორი, ირონია, სატირა.

**ბილეთი № 22.**

1. ვ. ბარნოვის „გიორგი სააკაძე“ — განხილვა.
2. ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“ — განხილვა.
3. აკ. წერეთლის „პოეტი“ — ზეპირად.
4. დრო. ასპექტი. კილო.  
განპიროვნება. მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.

**ბილეთი № 23.**

1. ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ — განხილვა.
2. ირ. ევლოშვილის „განთიადი“ — ზეპირად.
3. აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“ — განხილვა.
4. უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება.  
სტროფი. ტაეპი.

**ბილეთი № 24.**

1. ი. ევლოშვილის შემოქმედება.
2. სერვანტესის „დონ-კიხოტი“ — განხილვა.
3. გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ — განხილვა.
4. მარტივი წინადადების სახეები. მონაცვლე ზმნები.  
მხატვრული შედარება. ომონიმები. სინონიმები.

**ბილეთი № 25.**

1. მ. გორკის „დედა“ — განხილვა.
2. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება.
3. ილ. ჭავჭავაძის „ელეგია“ — ზეპირად.
4. ზმნის გარდამავლობა.  
სიმბოლიზმი.

## БИЛЕТЫ ДЛЯ ИСПЫТАНИЯ ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ И ЛИТЕРАТУРЕ



К каждому билету преподаватель должен предусмотреть примеры сложных предложений, преимущественно из данного в билете литературного материала. Не исключается приведение примеров и самими учащимися. Учащиеся должны дать их разбор.

### БИЛЕТ № 1.

1. Жизнь и творчество А. С. Пушкина.
2. «Узник» А. С. Пушкина — наизусть.
3. Простое и составное сказуемое.

### БИЛЕТ № 2.

1. Воспитание Онегина по «Евгению Онегину» А. С. Пушкина.
2. Отрывок из Евгения Онегина — наизусть.
3. Главнейшие случаи чередования гласных и согласных.

### БИЛЕТ № 3.

1. Жизнь и творчество И. А. Крылова.
2. «Деревня» А. С. Пушкина, анализ, отрывок наизусть.
3. Правописание безударных гласных.

### БИЛЕТ № 4.

1. Эпизод — «Приезд Минского на станцию» — из «Станционного смотрителя» А. С. Пушкина — рассказать.
2. «Послание в Сибирь» А. С. Пушкина — наизусть.
3. Слово и его состав. Суффиксы ласкательных существительных и их правописание.

### БИЛЕТ № 5.

1. Эпизод — «Отъезд Дуни» — из «Станционного смотрителя» А. С. Пушкина — рассказать.
2. «Чаадаеву» А. С. Пушкина — наизусть.
3. Значение падежей.

### БИЛЕТ № 6.

1. Эпизод — «Поиски Вергина» из «Станционного смотрителя» А. С. Пушкина — рассказать.
2. «Чаадаеву» А. С. Пушкина — наизусть.
3. Значение падежей.

### БИЛЕТ № 7.

1. «Станционный смотритель» А. С. Пушкина — рассказать.
2. «Зимний вечер» Пушкина — наизусть.
3. Виды глаголов, образование видов.



**БИЛЕТ № 8.**

1. Жизнь и творчество М. Ю. Лермонтова.
2. «Мцыри» М. Ю. Лермонтова отрывок наизусть.
3. Типы склонений. Существительные, употребляемые **ТОЛЬКО** в единственном или только во множественном числе.

**БИЛЕТ № 9.**

1. Смерть Тараса из «Тараса Бульбы» Н. В. Гоголя — рассказать.
2. «Памятник» А. С. Пушкина — наизусть.
3. О наклонениях глагола.

**БИЛЕТ № 10.**

1. Жизнь и творчество Н. В. Гоголя.
2. «Бородино» М. Ю. Лермонтова — наизусть.
3. Образование действительных причастий.

**БИЛЕТ № 11.**

1. Детство и школьные годы Чичикова — (из «Мертвых душ» Гоголя) — рассказать.
2. «Марш комсомольца» В. Маяковского — наизусть.
3. Черты, общие у причастия с прилагательным и глаголом.

**БИЛЕТ № 12.**

1. Первые шаги Чичикова на службе (из «Мертвых душ» Гоголя) — рассказать.
2. «Памятник» А. С. Пушкина — наизусть.
3. Деепричастие, образование деепричастий.

**БИЛЕТ № 13.**

1. «Мцыри» — М. Ю. Лермонтова — краткое содержание.
2. «Смерть поэта» М. Ю. Лермонтова. — Отрывок наизусть.
3. Разряды местоимений. Склонение притяжательных местоимений.

**БИЛЕТ № 14.**

1. «Размышления у парадного под'езда» Н. А. Некрасова — рассказать.
2. «Евгений Онегин» А. С. Пушкина отрывок наизусть.
3. Наречие, образование наречий.

**БИЛЕТ № 15.**

1. «Железная дорога» Н. А. Некрасова — рассказать.
2. «В Сибирь декабристам» А. С. Пушкина — наизусть.
3. Предлоги, значение и роль предлогов.

**БИЛЕТ № 16.**

1. Биография Л. Н. Толстого.
2. Отрывок из «Бородино» М. Ю. Лермонтова — наизусть.
3. Связь слов в предложении, согласование, управление, при-  
мыкание.

**БИЛЕТ № 17.**

1. «После бала» Л. Н. Толстого — рассказать.
2. «Узник» А. С. Пушкина — наизусть.
3. Выражение подлежащего различными частями речи.

**БИЛЕТ № 18.**

1. Эпизод «На площади» (из «После бала» Л. Н. Толстого) —  
рассказать.
2. «Витязь в тигровой шкуре» Ш. Руставели — отрывок  
наизусть.
3. Частицы. Роль и значение частиц.

**БИЛЕТ № 19.**

1. Биография А. П. Чехова.
2. «Стихи о советском паспорте» В. Маяковского — наизусть.
3. Приложение. Смысловое значение приложения.

**БИЛЕТ № 20.**

1. «Человек в футляре» А. П. Чехова — наизусть.
2. «Железная дорога» Н. А. Некрасова — отрывок наизусть.
3. Обращение; знаки препинания при обращении.

**БИЛЕТ № 21.**

1. «Сватовство Беликова» из рассказа А. П. Чехова «Человек  
в футляре».
2. «Узник» А. С. Пушкина — наизусть.
3. Вводные слова и предложения. Запятая при вводных словах.

**БИЛЕТ № 22.**

1. Жизненный путь М. Горького — рассказать.
2. «Деревня» А. С. Пушкина — отрывок наизусть.
3. Виды простого предложения.

**БИЛЕТ № 23.**

1. «Песня о Соколе» М. Горького — содержание и анализ.
2. «Владимир Ильич Ленин» В. Маяковского, отрывок наизусть.
3. Прямая и косвенная речь. Пунктуация при прямой речи.  
Междометие, его роль и значение.

БИЛЕТ № 24.

1. «Песнь о Буревестнике» М. Горького. Содержание и анализ.
2. «Беглец» М. Ю. Лермонтова — отрывок наизусть.
3. Понятие о сочинении и подчинении предложений. Пунктуация в сложно-сочиненных предложениях.

БИЛЕТ № 25.

1. Речь Павла на суде (по произведению М. Горького «Мать») — рассказать.
2. «Беглец» М. Ю. Лермонтова — отрывок наизусть.
3. Виды придаточных предложений. Пунктуация в сложно-подчиненных предложениях.

БИЛЕТ № 26.

1. Влияние Беликова на город и на гимназию — из рассказа А. П. Чехова «Человек в футляре».
2. «Евгений Онегин» Пушкина, отрывок наизусть.
3. Бессоюзные сложно-сочиненные предложения.

სავამოცდო ბილეთები მათემატიკაში

ბანმარტმბა

გეომეტრიაში მოსწავლეთათვის წინა კლასებში გავლილი თეორემების დამტკიცება სავალდებულო არ არის, მაგრამ მოსწავლეს ამ თეორემების შინაარსი ნათლად უნდა ესმოდეს და არ უნდა უჭირდეს მათი გამოყენება ამოცანების ამოსახსნელად.

ბილეთებში, ამოცანებისა და მაგალითების ნაცვლად, მითითებულია მათი შინაარსის შესახებ; ამის მიხედვით მაგალითებს და ამოცანებს ადგენს საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სავამოცდო კომისია. ეს დამატებითი მასალაც ბილეთებზე უნდა განაწილდეს, დაინომროს ბილეთების ნომრების შესაბამისად და მიეცეს მოსწავლეს მხოლოდ გამოცდაზე, მის მიერ აღებული ბილეთის ნომრის მიხედვით.

გეომეტრიის ყველა ბილეთში შეტანილია ამოცანები გამოანგარიშებაზე. ამოცანები იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ მათი ამოხსნა არ მოითხოვდეს რთულსა და ხანგრძლივ გამოთვლებს.

მაგალითად, ალგებრის № 12 ბილეთში, რომელშიც შედის საკითხები:

„1. გეომეტრიული პროგრესიის უკანასკნელი წევრისა და წვერთა ჯამის ფორმულების გამოყენება;

2. მაგალითი მე-6 ხარისხის ორწევრა განტოლების ამოხსნაზე;

3. მაგალითი ბრითმეტრიკიდან: რიცხვის მონახვა მისი მოცემული ნაწილის მიხედვით, როდესაც მონაცემები წილადებს წარმოადგენს“.

პირველ საკითხზე არაფერი იწერება დამატებით ბილეთში; მოსწავლე ვალდებულია გამოიყვანოს ეს ფორმულები სათანადო ახსნა-განმარტებით. დანარჩენ საკითხებზე მასწავლებელი ადგენს მაგალითებს, რომელთა ამოხსნა ეკისრება მოსწავლეს. ეს დამატებითი ბილეთი ასე იწერება:

1. ამოხსენით განტოლება:  $X^6 = 729$ ;

2. უცნობი რიცხვის  $\frac{7}{16}$  უდრის  $\frac{11}{24}$ -ს, იპოვეთ უცნობი.

### გეომეტრიის ბილეთი № 20.

„1. თეორემის დამტკიცება სფეროს გადაკვეთი სიბრტყის კვეთის თვისების შესახებ;

2. პერონის ფორმულა;

3. ამოცანა სფეროსა და სიბრტყის გადაკვეთით მიღებული კვეთის ფართობის გამოანგარიშებაზე“.

პირველ ორ საკითხზე დამატებით ბილეთში არაფერი იწერება; მოსწავლე ვალდებულია პირველ საკითხზე მოგვეცეს სწორი უნით, დალაგებულად და მათემატიკური თანამიმდევრობით თეორემის დამტკიცება, სწორი ჩანაწერი დაფაზე და ხაზების წესების დაცვით შესრულებული ნახაზი. მეორე საკითხზე მოეთხოვება მხოლოდ ფორმულის დაწერა და ახსნა. მესამე საკითხზე შეიძლება მიეცეს ასეთი ამოცანა:

### № 20.

#### ამოხსენით ამოცანა:

სფეროს რადიუსი არის  $R$ . რადიუსის ბოლოზე გავლებულია სიბრტყე  $60^\circ$ -იანი კუთხით ამ რადიუსისადმი. იპოვეთ კვეთის ფართობი.

### ტრიგონომეტრიის ბილეთი № 2.

„1. ძირითადი ფორმულების გამოყენება;

2. სინუსების ჯამის სალოგარითმო სახეზე დაყენება;

3. მაგალითი შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოანგარიშებაზე“.

პირველ ორ საკითხზე დამატებით ბილეთში არაფერი იწერება; მოსწავლე ვალდებულია გამოიყენოს ძირითადი ფორმულები სათანადო ახსნა-განმარტებით და მისცეს სალოგარითმო სახე სინუსების ჯამს. მესამე საკითხზე შეიძლება მიეცეს ასეთი მაგალითი:

### № 2.

#### 1. გამოიანგარიშეთ:

$$\sin \left( \arcsin \frac{3}{5} + \arcsin \frac{8}{17} \right)$$

ამგვარადე უნდა შესდგეს დამატებითი ბილეთები დანარჩენი ბილეთების იმ საკითხებისათვის, რომელნიც მოითხოვენ მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნას.



**გილდია № 1.**

1. სამი სახის შეერთება, მათი განსაზღვრა.  $m$  ელემენტისაგან  $n$  ელემენტიანი წყობათა რიცხვის ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი არითმეტიკულ პროგრესიაზე, როდესაც უცნობია პროგრესიის უკანასკნელი წევრი და წევრთა რიცხვი.
3. მაგალითი არითმეტიკიდან: რიცხვის გაყოფა 3 რიცხვის პროპორციულად.

**გილდია № 2.**

1. სამი სახის შეერთება, მათი განსაზღვრა.  $m$  ელემენტისაგან  $n$  ელემენტიანი ჯუფთებათა რიცხვის ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი არითმეტიკულ პროგრესიაზე, როდესაც უცნობია პროგრესიის პირველი და უკანასკნელი წევრი.
3. მაგალითი არითმეტიკიდან: რიცხვის გაყოფა 3 რიცხვის უკუპროპორციულად.

**გილდია № 3.**

1. სამი სახის შეერთება, მათი განსაზღვრა.  $n$  ელემენტისაგან განსაკუთრებულ რიცხვის ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი არითმეტიკულ პროგრესიაზე, როდესაც უცნობია პროგრესიის პირველი წევრი და წევრთა რიცხვი.
3. მაგალითი გამყოფის, გამოანგარიშებაზე, როდესაც ცნობილად გასაყოფი, განყოფი და ნაშთი.

**გილდია № 4.**

1.  $C_m^n = C_m^{m-n}$  ტოლობის დამტკიცება და მისი გამოყენება კომბლექსური რიცხვიდან კვადრატული ფესვის ამოსახები ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესიის წევრთა ჯამის გამოანგარიშებაზე.
3. მაგალითი რიცხვის პოვნაზე მისი მოცემული პროცენტის მიხედვით.

**გილდია № 5.**

1. მეორე წევრებით განსხვავებული ბინომების ნამრავლის ფორმულის გამოყვანა (მათემატიკური ინდუქციის მეთოდით).
2. მაგალითი ლოგარითმული განტოლების ამოხსნაზე.
3. მაგალითი არითმეტიკიდან: ოთხივე მოქმედების შესრულება ჩვეულებრივ წილადებზე და ათწილადებზე.

ბილეთი № 6.

1. ნიუტონის ბინომის ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი კვადრატული სამწევრის დაშლაზე, როდესაც სამწევრის ფესვები კომპლექსურია.
3. მაგალითი ორი რიცხვის პროცენტული შეფარდების პოვნაზე.

ბილეთი № 7.

1. რიცხვის უცნობის განვითარება; კომპლექსური რიცხვი. ნამდვილი და წარმოსახვითი რიცხვები; როგორც კერძო შემთხვევა  $a + bi$  კომპლექსური რიცხვისა. შეუღლებული კომპლექსური რიცხვების ტოლობის პირობები.
2. მაგალითი ბინომის განამწკრივის ისეთი წევრის პოვნაზე, რომელიც მასში შემავალი ასოს მაჩვენებელით განისაზღვრება (იმ პირობით, რომ ბინომის წევრები წილადი და რადიკალიანი იყოს).
3. მაგალითი არითმეტიკიდან: ორი რიცხვის პოვნა, როდესაც ცნობილია მათი ჯამი და ჯერადი შეფარდება.

ბილეთი № 8.

1. ნიუტონის ბინომის ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი გეომეტრიულ პროგრესიაზე, როდესაც უცნობია პროგრესიის უკანასკნელი წევრი და მნიშვნელი (იმ პირობით, რომ წევრთა რიცხვი  $n = 3$ ).
3. მაგალითი ორი რიცხვის საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის პოვნაზე (იმ პირობით, რომ ეს რიცხვები ჩვეულებრივ წილადებსა და ათწილადებს წარმოადგენდეს).

ბილეთი № 9.

1. ბეზუს თეორემის დამტკიცება მთელი მრავალწევრის  $x - a$  სხვაობაზე გაყოფადობის შესახებ; ამ თეორემის შედეგები.
2. მაგალითი ორუცნობიანი კვადრატული სისტემის ამოხსნაზე (როდესაც ორივე განტოლება მეორე ხარისხისა).
3. მაგალითი პროპორციის ამოხსნაზე, როდესაც ცნობილი წევრები პერიოდულ წილადებს წარმოადგენენ.

ბილეთი № 10.

1. მეორე წევრებით განსხვავებული ბინომების ნამრავლის ფორმულის გამოყვანა (მათემატიკური ინდუქციის მეთოდით).
2. მაგალითი მაჩვენებლიანი განტოლების ამოხსნაზე დამხმარე უცნობის შემოღებით (ფესვებს შემოწმება).

3. მრავალწევრა მრიცხველიანი და მრავალწევრა მნიშვნელობის ალგებრული წილადის რიცხვითი მნიშვნელობის გამოანგარიშება (ასობებისათვის ალბუღ იქნას წილადი და უარყოფითი მნიშვნელობანი).

#### ბილეთი № 11.

1. არითმეტიკული პროგრესიის უკანასკნელი წევრისა და წევრთა ჯამის ფორმულებს გამოყვანა.

2. მაგალითი ბინომის განამწკრივის ისეთი წევრის პოვნაზე, რომელიც მასში შემავალი ასოს მაჩვენებლით განისაზღვრება (ბინომის წევრები იყოს წილადი და რადიკალიანი).

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ორი რიცხვის პოვნა მათი სხვაობითა და ჯერადი შეფარდებით.

#### ბილეთი № 12.

1. გეომეტრიული პროგრესიის უკანასკნელი წევრისა და წევრთა ჯამის ფორმულებს გამოყვანა.

2. მაგალითი მე- $n$  ხარისხის ორწევრა განტოლების ამოხსნაზე.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: რიცხვის მონახვა მისი მოცემული ნაწილის მიხედვით, როდესაც მონაცემები წილადებს წარმოადგენს.

#### ბილეთი № 13.

1. ნამრავლისა და წილადის გალოგარითმების შესახებ თეორემების დამტკიცება.

2. მაგალითი ბინომის განამწკრივის ისეთი წევრის პოვნაზე, რომელიც მასში შემავალი ასოს მაჩვენებლით განისაზღვრება, ხოლო ბინომის მაჩვენებელი გამოიცნობა განამწკრივის მე-2 და მე-3 წევრების კოეფიციენტების ჯამით.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ოთხივე მოქმედების შესრულება ათწილადებზე.

#### ბილეთი № 14.

1.  $x^2 + px + q = 0$  სახის განტოლების ამოსახსნელი ფორმულის გამოყვანა.

2. მაგალითი მე- $n$  ხარისხის სამწევრა განტოლების ამოხსნაზე.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ოთხივე მოქმედების შესრულება ჩვეულებრივ წილადებზე და ათწილადებზე.



### ბილეთი № 15.

1. უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესიის წევრთა ჯამის ფორმულის გამოყვანა.
2. მაგალითი ირაციონალური განტოლების ამოხსნაზე (ორჯერ სახარისხებით და გარეშე ფესვით).
3. 2-ზე და 3-ზე რიცხვების გაყოფადობა.

### ბილეთი № 16.

1. პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების გამოკვლევა; დადებითი, უარყოფითი და ნულოვანი ფესვების აზრი. განუზღვრელო და უსასრულო ფესვების მიღების პირობები; ასეთი ფესვების აზრი.
2. მაგალითი კვადრატული განტოლების სისტემის ამოხსნაზე. როდესაც ორივე განტოლება მეორე ხარისხისაა.
3. 5-ზე და 9-ზე რიცხვების გაყოფადობა.

### ბილეთი № 17.


1. პირველი ხარისხის ორუცნობიანი განტოლებათა სისტემის გამოკვლევა.
2. მაგალითი ლოგარითმული განტოლების ამოხსნაზე.
3. მაგალითი არითმეტიკიდან: მდებარე რიცხვის ნაწილის პოვნა, როდესაც მონაცემები წილადებს წარმოადგენს.

### ბილეთი № 18.

1.  $ax^2 + bx + c = 0$  და  $ax^2 + 2kx + c = 0$  სახის განტოლებების ამოსახსნელი ფორმულები გამოყვანა.
2. მაგალითი მე-6 ხარისხის ტრეფერა განტოლების ამოხსნაზე.
3. ალგებრული წილადიანი გამოსახულების რიცხვითი სიდიდის გამოანგარიშება, როდესაც ასობისათვის აღებულია წილადი და უარყოფითი მნიშვნელობანი.

### ბილეთი № 19.

1. ნიუტონის ბინომის ფორმულის თვისებები.
2. მაგალითი გეომეტრიულ პროგრესიაზე, როდესაც უცნობი პროგრესიის პირველი წევრი და მნიშვნელი (იმ პირობით, რომ წევრთა რიცხვი  $n = 3$ ).
3. მაგალითი გასაყოფის პოვნაზე, როდესაც ცნობილია გამყოფი, განყოფი და ნაშთი.





ბილეთი № 20.



1. კომპლექსური რიცხვების შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და ახარისხება.

2. კვადრატული განტოლების ფესვებსა და კოეფიციენტებს შორის დამოკიდებულების ფორმულების გამოყვანა და გამოყენება (მაგალითზე ჩვენებით).

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ოთხივე მოქმედების შესრულება ათწილადებზე.

ბილეთი № 21.

1. ხარისხისა და ფესვის გალოგარითმების შესახებ თეორემების დამტკიცება. კვადრატული განტოლების ფესვების გამოკვლევა დისკრიმინანტის მიხედვით.

2. მაგალითი: ხოლომბიანი I ხარისხის უტოლობათა სისტემის ამოხსნაზე.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ოთხივე მოქმედების შესრულება ჩვეულებრივ წილადებზე და ათწილადებზე.

ბილეთი № 22.

1. ლოგარითმის ცნება. ლოგარითმული ფუნქცია და მისი გრაფიკი. რიცხვის ლოგარითმის თვისებები.

2. მაგალითი შე-ნ ხარისხის სამწევრა განტოლების ამოხსნაზე.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ორი რიცხვის პოვნა მათი სხვაობითა და ჯერადი შეფარდებით.

ბილეთი № 23.

1.  $x^2 + px + q$  და  $ax^2 + bx + c$  სახის კვადრატული სამწევრების თანამართლებად დაშლა.

2. მაგალითი ბინომის განამწკრივის ისეთი წევრის პოვნაზე, რომელიც მასში შემავალი ასოს მაჩვენებლით განისაზღვრება, ხოლო ბინომის მაჩვენებელი გამოცნობა განამწკრივის მე-3 და მე-2 წევრების კოეფიციენტების სხვაობით.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: ოთხივე მოქმედების შესრულება ჩვეულებრივ წილადებზე.

ბილეთი № 24.

1. ჯუფთებათა რიცხვის გამოსაანგარიშებელი ფორმულის მეორე სახის გამოყვანა. კომპლექსური რიცხვის გეომეტრიული ინტერპრეტაცია.



2. მაგალითი მაჩვენებლიანი განტოლების ამოხსნაზე გალოგარფების ხერხით.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: რიცხვის გაყოფა რამდენიმე რიცხვის პროპორციულად.

**ბილეთი № 25.**

1. ათობითი ლოგარითმების თვისებები.

2. მაგალითის ამოხსნა, როდესაც ცნობილია ჯუფთებათა შეფარდება.

3. მაგალითი არითმეტიკიდან: მოცემული პროპორციიდან ყველა სახის წარმოებულ პროპორციების შედგენა.

**საგამოცდო ბილეთები გეომეტრიაში**

**ბილეთი № 1**

1. სფეროს მოცულობის ფორმულის გამოყვანა.

2. თეორემა სამკუთხედის მახვილი კუთხის მოპირდაპირე გვერდის კვადრატის შესახებ.

3. ამოცანა წესიერი სამკუთხა პირამიდის გვერდობრტულის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 2.**

1. სფეროს პირეულის ფორმულის გამოყვანა.

2. თეორემა სამკუთხედის ბლაგვი კუთხის მოპირდაპირე გვერდის კვადრატის შესახებ.

3. ამოცანა ოთხკუთხა პირამიდის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 3.**

1. სფერული სეგმენტისა და სარტყელის პირეულების ფორმულების გამოყვანა.

2. წრეში ჩახსული კვადრატის გვერდის განსაზღვრა.

3. ამოცანა წესიერი ექვსკუთხა პირამიდის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 4.**

1. სრული წესიერი პირამიდისა და წაკვეთილი პირამიდის გვერდობრტულების ფორმულების გამოყვანა.

2. წრეში ჩახსული წესიერი ექვსკუთხედის გვერდის განსაზღვრა.

3. ამოცანა წესიერი წაკვეთილი პირამიდის მოცულობის გამოანგარიშებაზე.



**ბილეთი № 5.**

1. დახრილი და მართი პრიზმის გვერდობრეულების ფორმულების გამოყვანა.

2. წრეში ჩახაზული წესიერი სამკუთხედის გვერდის განსაზღვრა.

3. ამოცანა მართი პარალელებიპედის მოცულობის გამოანგარიშებაზე, როდესაც ფუძე რომბია.

**ბილეთი № 6.**

1. პარალელებიპედის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.

2. თეორემები ირიბკუთხა სამკუთხედების მსგავსობის შესახებ.

3. ამოცანა წესიერი წაკვეთილი პირამიდის სრული პირეულის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 7.**

1. მართი პარალელებიპედის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.

2. თეორემები მართკუთხა სამკუთხედების მსგავსობის შესახებ.

3. ამოცანა მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 8.**

1. სამკუთხა პირამიდის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.

2. თეორემა წესიერი ერთსახელა მრავალკუთხედების შესახებ.

3. ამოცანა მართი პრიზმის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 9.**

1. წაკვეთილი პირამიდის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.

2. თეორემები სამკუთხედისა და პარალელოგრამის ფართობების შესახებ.

3. ამოცანა მართი პრიზმის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 10.**

1. კონუსის პირეულისა და მოცულობის ფორმულების გამოყვანა.

2. თეორემები სამკუთხედისა და რომბის ფართობების შესახებ.

3. ამოცანა წესიერი ექვსკუთხა წაკვეთილი პირამიდის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 11.**

1. წაკვეთილი კონუსის პირეულისა და მოცულობის ფორმულების გამოყვანა.

2. თეორემა მართი კუთხის წვერიდან პიპოტენუსზე დაშვებული პერპენდიკულარის შესახებ.

3. ამოცანა ცილინდრის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 12.**

1. სფეროს მოცულობის ფორმულის გამოყვანა.
2. თეორემა სამწახნაგა კუთხის ბრტყელი კუთხის შესახებ.
3. ამოცანა კონუსის გვერდპირეულის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 13.**

1. სამკუთხა პირამიდის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.
2. თეორემა ამოხნეკელი მრავალწახნაგა კუთხის ბრტყელი კუთხეების შესახებ.
3. ამოცანა კონუსის მოცულობის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 14.**

1. თეორემის დამტკიცება პარალელპიპედის დიაგონალების თვისების შესახებ და მართკუთხა პარალელპიპედის დიაგონალის კუთხეების გამოანგარიშება.
2. თეორემა ტრაპეციის ფართობის შესახებ.
3. ამოცანა წაკვეთილი კონუსის სრული პირეულის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 15.**

1. თეორემის დამტკიცება პირამიდაში ფუძის პარალელური კვეთის თვისების შესახებ.
2. თეორემა წრეზე შემოხაზული მრავალკუთხედის ფართობის შესახებ.
3. ამოცანა წაკვეთილი კონუსის გვერდპირეულის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 16.**

1. სფერული სექტორის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.
2. თეორემა სამკუთხედის შიდა კუთხის ბისექტორის შესახებ.
3. ამოცანა დახრილი პრიზმის მოცულობის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 17.**

1. ლემის დამტკიცება სამკუთხედის ბრუნვით მიღებული სხეულის მოცულობის შესახებ.
2. თეორემა წრის ფართობის შესახებ.
3. ამოცანა სფერული სარტყელის პირეულის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 18.**

1. წაკვეთილი პირამიდის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.
2. თეორემა სექტორის ფართობის შესახებ.
3. ამოცანა სფერული სექტორის მოცულობის გამომანგარიშებაზე.

**ბილეთი № 19.**

1. სფერული სეგმენტის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.
2. თეორემა პარალელოგრამის დიაგონალების კვადრატების ჯამის შესახებ.
3. ამოცანა სფეროს პირეულის გამონაგარიშებაზე.

**ბილეთი № 20.**

1. თეორემის დამტკიცება სფეროს გადამკვეთი სიბრტყის კვეთის თვისების შესახებ.
2. ჰერონის ფორმულა.
3. ამოცანა სფეროსა და სიბრტყის გადაკვეთით მიღებული კვეთის ფართობის გამონაგარიშებაზე.

**ბილეთი № 21.**

1. კონუსის მოცულობის ფორმულების გამოყვანა.
2. პითაგორის თეორემა.
3. ამოცანა სფეროს მოცულობის გამონაგარიშებაზე.

**ბილეთი № 22.**

1. ლემის დამტკიცება დახრილი და მართი პრიზმის ტოლდიდობის შესახებ.
2. თეორემები ირიბკუთხა სამკუთხედების მსგავსობის შესახებ.
3. ამოცანა წაკვეთილი პირამიდის აპოთემისა და წიბოს გამონაგარიშებაზე.

**ბილეთი № 23.**

1. წაკვეთილი კონუსის მოცულობის ფორმულის გამოყვანა.
2. თეორემები მართკუთხა სამკუთხედების მსგავსობის შესახებ.
3. ამოცანა პარალელეპიპედის პირეულის გამონაგარიშებაზე.

**ბილეთი № 24.**

1. ლემის დამტკიცება ცილინდრის, კონუსისა და წაკვეთილი კონუსის პირეულების შესახებ.
2. თეორემა ორი პერპენდიკულარის შესახებ.
3. ამოცანა წესიერი ექვსკუთხა პირამიდის მოცულობის გამონაგარიშებაზე.

**ბილეთი № 25.**

1. თეორემის დამტკიცება სფეროს გადამკვეთი სიბრტყის კვეთის თვისების შესახებ.



2. თეორემა სამი პერპენდიკულარის შესახებ.
3. ამოცანა წესიერი ოთხკუთხა პირამიდის მოცულობის გამოანგარიშებაზე.

**საგამოცდო ბილეთები ტრიგონომეტრიაში**

**ბილეთი № 1.**

1. ტრიგონომეტრიული ხაზების განსაზღვრა და აგება ოთხივე მუ-ოთხედის კუთხეებისათვის. სინუსისა და კოსინუსის ცვლადობა კუთხის შეცვლით  $0^\circ$ -დან  $360^\circ$ -მდე.
2. კოსინუსების სხვაობის სალოგარითმო სახეზე დაყვანა.
3. მაგალითი ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნაზე თანამრავლებად დაშლით.

**ბილეთი № 2.**

1. ძირითადი ფორმულების გამოყვანა.
2. სინუსების ჯამის სალოგარითმო სახეზე დაყვანა.
3. მაგალითი შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოანგარიშებაზე.

**ბილეთი № 3.**

1.  $180^\circ - \alpha$  კუთხის დაყვანის ფორმულების გამოყვანა. ტრიგონომეტრიული ფუნქციათა პერიოდულობა.
2. კოტანგენსების სხვაობის სალოგარითმო სახეზე დაყვანა.
3. მაგალითი ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნაზე, რომელიც ერთგვაროვანია  $\sin x$  და  $\cos x$ -ის მიმართ.

**ბილეთი № 4.**

1. სინუსოიდისა და კოსინუსოიდის გრაფიკების აგება და მათი ანალიზი.
2. ტანგენსების ჯამის სალოგარითმო სახეზე დაყვანა.
3. მაგალითი ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნაზე ერთ ფუნქციაზე დაყვანით.

**ბილეთი № 5.**

1. ორი კუთხის ჯამისა და სხვაობის სინუსის ფორმულების გამოყვანა.
2. ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოსახვა კოსინუსით.
3. მაგალითი ირიბკუთხა სამკუთხედის ამოხსნაზე სამი გვერდით.



### ბილეთი № 6.

1. ორი კუთხის ჯამისა და სხვაობის კოსინუსის ფორმულების გამოყვანა.
2. ირიბკუთხა სამკუთხედის ამოხსნა ერთი გვერდითა და ორი კუთხით.
3. ტრიგონომეტრიული ფუნქციათა მნიშვნელობის გამოანგარიშება, როდესაც ცნობილია  $\operatorname{tg} \alpha$  (იმ პირობით, რომ  $180^\circ < \alpha < 270^\circ$ ).

### ბილეთი № 7.

1. ორკეცი კუთხის სინუსის, კოსინუსისა და ტანგენსის ფორმულების გამოყვანა.
2. ირიბკუთხა სამკუთხედის ამოხსნა სამი გვერდით.
3. ტრიგონომეტრიული ფუნქციათა მნიშვნელობის გამოანგარიშება, როდესაც ცნობილია  $\operatorname{Ctg} \alpha$  (იმ პირობით, რომ  $90^\circ < \alpha < 180^\circ$ ).

### ბილეთი № 8.

1. სამკუთხედის ნახევარი კუთხეების სინუსების გამოსახვა გვერდების საშუალებით.
2. ირიბკუთხა სამკუთხედის ამოხსნა, როდესაც ცნობილია ორი გვერდი და მათ შორის მდებარე კუთხე.
3. ტრიგონომეტრიული ფუნქციათა მნიშვნელობის გამოანგარიშება, როდესაც ცნობილია  $\operatorname{Cos} \alpha$  (იმ პირობით, რომ  $270^\circ < \alpha < 360^\circ$ ).

### ბილეთი № 9.

1. სამკუთხედის ნახევარი კუთხეების კოსინუსების გამოსახვა გვერდების საშუალებით.
2. ირიბკუთხა სამკუთხედის ამოხსნა, როდესაც ცნობილია ორი გვერდი და ერთერთი მათგანის მოპირდაპირე კუთხე.
3. ტრიგონომეტრიული ფუნქციათა მნიშვნელობის გამოანგარიშება, როდესაც ცნობილია  $\operatorname{Sin} \alpha$  (იმ პირობით, რომ  $180^\circ < \alpha < 270^\circ$ ).

### ბილეთი № 10.

1. სამკუთხედის ნახევარი კუთხეების ტანგენსების გამოსახვა გვერდების საშუალებით.
2. შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციების მრავალსახეობა. არკოსინუსის მთავარი მნიშვნელობა.
3. მაგალითი ტრიგონომეტრიული იგივეობის დამტკიცებაზე სალოგარიტმო სახის ფორმულების გამოყენებით.

### ბილეთი № 11.



1. უარყოფითი კუთხის-დაყვანის ფორმულების გამოყვანა.
2. მართკუთხა სამკუთხედის ამოხსნა კათეტითა და ჰიპოტენუსით.
